

ამანათის მიღება-შემოწმება

1. დაწესებულებაში ამანათების მიღება და გაგზავნა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
2. დაწესებულებაში მიღებული/დაწესებულებიდან გაგზავნილი ამანათების შემოწმება ხორციელდება შემდეგი თანმიმდევრობით:
 - ა) ამანათის გამგზავნი პირი დაწესებულების საზოგადოებრივ მისაღებში იღებს რიგის ნომერს;
 - ბ) პენიტენციური დეპარტამენტის უსაფრთხოების მთავარი სამმართველოს ჩხრეკისა და შემოწმების სამმართველოს შესაბამისი განყოფილების მოსამსახურე (შემდგომში – ჯგუფის წევრი) ახდენს ამანათის მომტანი პირის გამოძახებას რიგითობის მიხედვით და ახორციელებს ამანათის გამგზავნი და ამანათის მიმღები პირის იდენტიფიცირებას;
 - გ) ჯგუფის წევრი ამოწმებს დოკუმენტაციაში მითითებული ნივთების შესაბამისობას დაწესებულების დებულებით განსაზღვრული იმ პირველადი მოხმარების საგნების, ჰიგიენური საშუალებების, კვების პროდუქტებისა და სხვა ნივთებისა და საგნების ჩამონათვალთან, რომლებიც ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს ამანათის სახით მიიღოს, შეინახოს და გამოიყენოს;
 - დ) ამანათი მოწმდება რენტგენული დანადგარის მეშვეობით. რენტგენული დანადგარით შემოწმებისას ამანათში აკრძალული/არანებადართული ნივთის არსებობის ეჭვის გაჩენის შემთხვევაში, ამანათი მოწმდება ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით დადგენილი წესით;
 - ე) თუ დაწესებულებაში არაა რენტგენული დანადგარი, რენტგენში გამოჩნდა საეჭვო ნივთი ან/და არსებობს ეჭვი ამანათში აკრძალული/არანებადართული ნივთის არსებობის თაობაზე, ამანათი იხსნება და მოწმდება ამანათის გამგზავნი პირის (მისი არსებობის შემთხვევაში) სავალდებულო დასწრებით. ნივთები და საკვები პროდუქტები მოწმდება გულდასმით. ტანსაცმლის, ფეხსაცმლის შემოწმებისას საეჭვო ადგილები იჩვენება სადგისით. ჯიბეები, ტანსაცმლის სახელოები, შარვლები, საცვლები, წინდები უკუღმა ბრუნდება. ფეხსაცმელი ექვემდებარება გულდასმით დათვალიერებას შიდა და გარე მხრიდან. დეტალურად უნდა იქნეს დათვალიერებული ბრალდებულისათვის/მსჯავრდებულისათვის განკუთვნილი საგნები. თხევადი ნივთიერებები, მოთავსებული უნდა იყოს პოლიეთილენის ან პლასტმასის ჭურჭელში. პირის მიერ დაწესებულებაში მედიკამენტის გაგზავნის შემთხვევაში, მედიკამენტი უნდა იყოს სააფთიაქო წესით შეფუთული და თან უნდა ახლდეს ექიმის დანიშნულება, რის შემდგომაც მედიკამენტის დაწესებულებაში დაშვების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს დაწესებულების დირექტორი, დაწესებულების მთავარ ექიმთან წერილობით შეთანხმებით.
3. დაუშვებელია დაწესებულებაში ამანათის გამგზავნი პირის ალკოჰოლური ან/და ნარკოტიკული/ფსიქოტროპული ნივთიერების (გარდა ექიმის დანიშნულებისა) ზემოქმედების ქვეშ გამოცხადება.
4. ჯგუფის წევრი უფლებამოსილია, ამანათების გამგზავნი პირის ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ ყოფნის შესახებ საფუძვლიანი ეჭვის არსებობის შემთხვევაში, მოსთხოვოს ამ პირს სპეციალური შემოწმების გავლა. თუ იგი უარს განაცხადებს შემოწმებაზე, ჯგუფის წევრი ვალდებულია მას განუმარტოს, რომ უარის შემთხვევაში არ დაიშვება ამანათის გასაგზავნად.
5. ამანათების შემოწმების პროცედურა ხორციელდება სანიტარიულ-ჰიგიენური დამცავი საშუალების, კერძოდ, ერთჯერადი მოხმარების ხელთათმანებისა და თავსაბურავების გამოყენებით. ყოველი მორიგი ამანათის შემოწმების შემდგომ ჯგუფის წევრი ვალდებულია შეიცვალოს ხელთათმანები.
6. ამანათში არანებადართული ნივთის აღმოჩენის შემთხვევაში, ისინი შესაბამისი მიზეზის მითითებით უბრუნდება მის გამომგზავნს (გამომგზავნის ხარჯზე), გადაეცემა დაწესებულებას შესანახად ან შესაძლებელია დაწესებულების მიერ განადგურდეს ბრალდებულის/მსჯავრდებულის თანდასწრებით.

7. ამანათში აკრძალული ნივთების აღმოჩენის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ ეცნობება განყოფილების უფროსს, რომელიც თავის მხრივ აცნობებს სამმართველოს უფროსსა და სამინისტროს გენერალურ ინსპექციას. შეტყობინება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც ელექტრონული დოკუმენტბრუნვის საშუალებით, ასევე სატელეფონო შეტყობინებით. განყოფილების უფროსის ადგილზე არყოფნის შემთხვევაში, ამ პუნქტით გათვალისწინებულ მოვალეობებს ასრულებს განყოფილების უფროსი ინსპექტორი.

8. საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების დაყოვნების შემთხვევაში, განყოფილება ვალდებულია მიიღოს ყველა შესაძლო ზომა ამანათის შემომტანი პირის მიერ დაწესებულების დატოვების თავიდან ასაცილებლად.

9. ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებულ პირს, საჭიროების შემთხვევაში, გაეწევა შესაბამისი სამედიცინო დახმარება დაწესებულების სამედიცინო პერსონალის მიერ ან/და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის გამომძახების გზით.

10. ამანათში აკრძალული ნივთების აღმოჩენის შემთხვევაში, ჯგუფის წევრის/წევრების მიერ ხორციელდება ნივთის ამოღება და დალუქვა.

11. ამანათის შემოწმებისას აკრძალული ან არანებადართული ნივთების აღმოჩენის შემთხვევაში, იწარმოება ამანათის შემოწმების ოქმი.

12. რენტგენული დანადგარისა და ნარკოტიკული და ფეთქებადი ნივთიერებების აღმოჩენი დეტექტორის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მეშვეობით შემოწმებას ექვემდებარება დაწესებულებაში გაგზავნილი ნებისმიერი გზავნილი, მათ შორის ბრალდებულთათვის/მსჯავრდებულთათვის განკუთვნილი კორესპონდენცია.

13. ამანათი/გზავნილი არ მიიღება და გადაეცემა მიმტან პირს შემდეგ შემთხვევებში:

ა) ბრალდებულის/მსჯავრდებულის გათავისუფლების ან დაწესებულებიდან მისი სამ დღეზე მეტი ვადით გაყვანის შემთხვევაში;

ბ) ბრალდებულის/მსჯავრდებულის გარდაცვალებისას;

გ) თუ ბრალდებულს/მსჯავრდებულს არ აქვს შესაძლებლობა პირადად მიიღოს ამანათი/გზავნილი ან გამოიყენოს მისი შემცველობა დანიშნულებისამებრ;

დ) თუ ამანათის/გზავნილის წონა არ შეესაბამება დადგენილ ნორმებს;

ე) თუ ამანათის/გზავნილის მიმტანი პირი არ წარმოადგენს პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს;

ვ) თუ არასწორადაა შევსებული განცხადება ამანათის/გზავნილის მიღების თაობაზე;

ზ) თუ არსებობს ბრალდებულის/მსჯავრდებულის წერილობითი უარი ამანათის/გზავნილის მიღების თაობაზე;

თ) თუ ბრალდებულს/მსჯავრდებულს დისციპლინური სახდელის სახით დაკისრებული აქვს ამანათისა და გზავნილის მიღების შეზღუდვა.

14. ამ მუხლის მე-13 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას ამანათები/გზავნილები უბრუნდება გამომგზავნ პირს (გამომგზავნის ხარჯზე) დაბრუნების მიზეზის მითითებით.

15. ამანათების შემოწმებაზე მიმდინარეობს ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა, რასაც უზრუნველყოფს სამმართველოს №1 განყოფილება. მეთვალყურეობის მიმდინარეობის შედეგად წარმოებული ჩანაწერები ინახება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ვადით.

ამანათის/გზავნილის მიღება-გაგზავნის წესი

1. ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, მიიღოს ან გაუგზავნოს ამანათი და ფულადი გზავნილი ახლო ნათესავებს, ხოლო დაწესებულების დირექტორის ნებართვით - სხვა პირებს. ფულადი გზავნილი ირიცხება ბრალდებულის/მსჯავრდებულის პირად ანგარიშზე.

2. ბრალდებული/მსჯავრდებული უფლებამოსილია, მიიღოს ამანათი/გზავნილი დაწესებულების დებულების შესაბამისი დანართის მოთხოვნათა დაცვით.
3. ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს მიიღოს ამანათი/გზავნილი დაწესებულებაში მოთავსებისთანავე.
4. ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ მისაღები ამანათისა და საფოსტო გზავნილის ზღვრული წონა ერთობლიობაში არ უნდა აღემატებოდეს თვეში 40 კგ-ს.
5. ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ ამანათის/გზავნილის მიღება ხდება საამისოდ გამოყოფილ შენობაში.
6. იმ საკვები პროდუქტების, პირველადი მოხმარების საგნების, ფეხსაცმლის, ტანსაცმლისა და სხვა სამრეწველო საქონლის ჩამონათვალი, რომელთა ქონის, შენახვის, ამანათით/გზავნილით მიღებისა და უნაღდო ანგარიშსწორებით შექმნის უფლება აქვს ბრალდებულს/მსჯავრდებულს გამოიკვრება შენობაში, სადაც ხდება ამანათის/გზავნილის მიღება.
7. ბრალდებულისათვის/მსჯავრდებულისათვის გადასაცემ ამანათს/გზავნილს განყოფილება იღებს მხოლოდ სრულწლოვანი ფიზიკური პირისაგან ან ფოსტით.
8. ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს შეინახოს და კანონიერად გამოიყენოს იმ რაოდენობის ნივთები/საგნები, რაც განსაზღვრულია დაწესებულების დებულების შესაბამისი დანართებით.
9. ამანათის/გზავნილის მიმტანი პირი ავსებს და ხელს აწერს განცხადებას ორ ეგზემპლარად. ორივე ეგზემპლარი, ამანათი/გზავნილი და ამანათის/გზავნილის მიმტანი პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი გადაეცემა დაწესებულების შესაბამის მოსამსახურეს.
- 10) ამანათის/გზავნილის მიღების შემდეგ დაწესებულების მოსამსახურე უბრუნებს ამანათის/გზავნილის მიმტანს პირს პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს და განცხადების პირველ ეგზემპლარს, ხოლო მეორე ეგზემპლარს ურთავს ბრალდებულის/მსჯავრდებულის პირად საქმეს, ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ ამანათის/გზავნილის ხელწერილით მიღების შემდეგ. თუ ბრალდებული/მსჯავრდებული უარს იტყვის ხელის მოწერაზე, განცხადებაზე კეთდება შესაბამისი აღნიშვნა.
11. ამანათი/გზავნილი, რომელიც მოსულია სხვა დაწესებულებაში გადაყვანილი ბრალდებულის/მსჯავრდებულის სახელზე, იგზავნება მისი ახალი ყოფნის ადგილზე, დაწესებულების ხარჯით.
12. იმ ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ ამანათის/გზავნილის მიღებისას, რომელიც მკურნალობის კურსს გადის, გაითვალისწინება მკურნალი ექიმის რეკომენდაციები.
13. ამანათი/გზავნილი, რომელიც მოსულია სამართო საკანში ან დეესკალაციის ოთახში მოთავსებული ბრალდებულის/მსჯავრდებულის სახელზე, ჩაჰბარდება შესანახად დაწესებულების საამანათო ოთახში და გადაეცემა ბრალდებულს/მსჯავრდებულს სამართო საკანში/დეესკალაციის ოთახში ყოფნის ვადის დამთავრების შემდეგ.
14. დაწესებულება უბრუნველყოფს ამანათის/გზავნილის შემცველობის შენახვას, მაგრამ ხანგრძლივი შენახვის გამო მისი ბუნებრივი გაფუჭების ან შემოწმების შედეგად სასაქონლო სახის დაკარგვის თაობაზე პასუხისმგებლობა არ ეკისრება.
15. ამანათი/გზავნილი უნდა გადაეცეს ბრალდებულს/მსჯავრდებულს არაუგვიანეს ერთი დღისა მათი მიღების დღიდან, ხოლო ბრალდებულის/მსჯავრდებულის დროებით გასვლის შემთხვევაში - მისი დაბრუნებისთანავე.
16. ამანათის/გზავნილის შემცველობის ჩამონათვალი რეგისტრირდება სპეციალურ ჟურნალში, რის შემდეგაც იგი ხელწერილით გადაეცემა ადრესატს.